

Save LIVES

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებით ყოველწლიურად მსოფლიოში 1.35 მილიონი ადამიანი იღუპება და მილიონობით შავდება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული "SAVE LIVES" მტკიცებულებებზე დაფუძნებული 6 სტრატეგიის პაკეტი მნიშვნელოვნად შეამცირებს საგზაო შემთხვევებით განპირობებული დაზიანების ხარისხს და გაზრდის გადარჩენის მაჩვენებელს.



"SAVE LIVES" კომპონენტებია: სიჩქარის კონტროლი, ლიდერობა-საზოგადოების ჩართულობა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ტრანსპორტის უსაფრთხოების სტანდარტის უზრუნველყოფა, საგზაო მოძრაობის კანონების აღსრულება, საგზაო შემთხვევის შემდგომი რეაგირება.

სიჩქარის მართვა "SAVE LIVES" - ერთ-ერთი კომპონენტი



Save Lives
#SpeakUp

SPEED MANAGEMENT

ფაქტები:


გადაჭარბებული სიჩქარე საგზაო შემთხვევების ფატალური შედეგების ძირითადი მიზეზია!
ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარის 1 კმ/სთ-ით გაზრდა - 3%-ით ზრდის საგზაო შემთხვევის ალბათობას და 4-5%-ით ფატალურ შედეგს!



გადაწყვეტილებები

1 სიჩქარის ლიმიტი

- გზის ფუნქციის შესაბამისი სიჩქარის შეზღუდვის დაკანონება, საზოგადოების ინფორმირება და აღსრულების უზრუნველყოფა
- სიჩქარეზე დანესებული შეზღუდვის აღსრულება
- ადგილობრივი და ეროვნული კანონები და წესები ნათლად უნდა ასახავდეს სიჩქარის ლიმიტის დარღვევის საჯარიმო სანქციებს: ფულადი ჯარიმა, მართვის მოწმობაზე დარიცხული 100 ქულის სამართალდარღვევის შესაბამისად შემცირება და 0-მდე დაყვანის შემთხვევაში მართვის უფლების შეჩერება.
- სიჩქარის აღმრიცხველი კამერების გამოყენება და პიროვნების იდენტიფიცირება



2 გზის სწორი დაგეგმარება

გზის რელევანტური დაგეგმარება სიჩქარის

შემცირებისკენ უბიძგებს მძღოლს

• ურბანული დაგეგმარება:

საუკეთესო არჩევანია მოძრაობის დამარეგულირებელი სქემები: შემოვლითი გზები, გზის დავიწროვება, საგზაო ნიშნები, სიჩქარის შემაკავებელი ბორცვები, უსაფრთხოების კუნძულები.

• დაბალი სიჩქარის ზონები:

სკოლების და საავადმყოფოების არეალში დაბალი სიჩქარის ზონებისა და ხმოვანი სასიგნალო გადასასვლელების შექმნა უზრუნველყოფს ქვეითებს შორის საგზაო შემთხვევებისა და მათთან ასოცირებული ტრავმატიზმის შემცირებას.

• სოფლისა და ქალაქის ავტომაგისტრალები:

მაღალი სიჩქარე დასაშვებია მხოლოდ დაცული კიდეების, შუა გამყოფი ზოლებისა და სხვადასხვა ზომის ავტომობილებისთვის სიჩქარის და მიმართულების სადიფერენციო გზაჯვარედინების მქონე გზატკეცილებზე.

3 საავტომობილო ტექნოლოგიების ინსტალაცია

სიჩქარის აღმრიცხველი ჯკვიანი, უკონტაქტო ტექნოლოგიები უხმარება მძღოლს სიჩქარის რეგულაციაში. უმეტესი ტექნოლოგიები აღჭურვილია გზის სატელიტური ციფრული რუკებით, რომლებშიც კოდირებულია სიჩქარის ლიმიტი და უზრუნველყოფს:


- მძღოლის გაფრთხილებას სიჩქარის გადაჭარბების შემთხვევაში
- კავშირს ავტომობილის მართვის სისტემასთან და მძღოლის ადექვატურ რეაგირებას ან სისტემის დაკვეთის უგულვებელყოფას
- მძღოლის მიერ პარამეტრების შეუცვლელად სიჩქარის კონტროლის სისტემურ რეჟიმს

მდგრადი განვითარების 2030 წლის გეგმა მოიცავს 2020 წლისთვის საგზაო შემთხვევებით განპირობებული სიკვდილიანობის და სერიოზული დაზიანებების 50%-ით შემცირებას. ამ ამბიციური მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით, ერთად უნდა დავამკვიდროთ საგზაო უსაფრთხოების კულტურა.



სარგებელი

- საგზაო შემთხვევებთან ასოცირებული სიკვდილიანობის, ტრავმატიზმისა და სოციალურ - ეკონომიკური ტვირთის შემცირება, ტრანსპორტის სიჩქარის შეზღუდვა, საზოგადოების ჯანმრთელობის გაუმჯობესება
- ფეხით და ველოსიპედით მოსიარულეთა გაზრდილი რაოდენობის ხარჯზე შექმნილი უფრო უსაფრთხო და მიმზიდველი გარემო
- ხმაურისა და გარემოს დაბინძურების შემცირება



! რამდენად კარგად ხდება სიჩქარის მართვა ჩვენს ქვეყანაში

შევაფასოთ სიჩქარის მართვის სტრატეგია და მისი განხორციელების გზები

